N496 2015 წლის 23 სექტემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებაში (სსმ, 86, 15/07/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველ მუხლში მოცემული ცხრილის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.შპს „გარდაბნის თბოსადგური“	აირტურბინული ელექტროსადგური	162	2015 წლის 1 ნოემბრიდან 2040 წლის 1 ნოემბრამდე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**